ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშა

NOTRE DRAPEAU"

832
1960

რსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 34

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

რ. არსენიძე—ნოე რამიშვილის ხსოვნას.
ბ. ს.—პირისპირ!
საბჭოთა იმპერიალიზმი.
ა. ბადრიძე—მოსკოვის მარცხი.
ვინ ამახინჯებს საქართველოს ისტორიას?
მორის შუმანი საქართველოს შესახებ.
ნ. ი.—რაქდენ არსენიძის იუბილე.
პარიზის ბლოკის მოწოდება.
დამსწრე—საბჭ. კავშ. ერთა განმ. ლიგის წლიური კრება.
აკაკი ბაბავა—ჩემი მადლობა.
ლ. ფადავა—გიორგი წერეთელი.
გ. ბ.—მოგონების დღე და სხვ.

პარიზი. დეკემბერი. Paris.
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე რამიშვილის ხსოვნას.

30 წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ის დავკარგეთ! ნოე რამიშვილი! დიდი სახელმწიფო მოღვაწე, თავდადებული ჩვენი ქვეყნის საქმისთვის, ჩვენი პატარა საქართველოს თავისუფლებისა და წარმატებისათვის.

დავკარგეთ ტრაღიკულად და ეს იყო ტრაღედია ქართველი ერის და ღრმა მორალური განცდა უცხოეთში გადმოხიზნულ ქართველებისათვის, რომელთა რიგებში აღმოჩნდა ვინმე არ სახსენებელი უღირსი შვილი, ჩვენი ნოეს სიცოცხლე რომ გასწირა! უეჭველია ჩვენი ქვეყნის მტრის ხელი ერია ამ ბოროტებაში, მაგრამ ამსრულებელი ემიგრანტის სახელის შემბღალავი იყო. მტერი დახითხითებდა მის გაცივებულ გვამს. ყოველი გულწრფელი მოყვარე ჩვენი ქვეყნის კი შავი ძაძით იმოსებოდა.

ამით უფრო გულსაკლავი იყო ჩვენი მდგომარეობა, ამით უფრო ღრმავდებოა შინაგანი განცდა ყველასი, ვინც რაიმე პაისუხისმგებლობას გრძნობდა ერის წინაშე, ვინც ადამიანის ღირსების დაცვაზე ფიქრობდა.

ნოე რამიშვილი!.. დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე, რომელმაც მთელ ქვეყანას ამცნო 26 მაისს ხუთ საათზე ნოე ჟორდანიას პირით გამოცხადებული აღორძინება ქართველი ერის, აღდგენა მისი საუკუნოებრივი სახელმწიფოებრივობის.

ნოე რამიშვილი!.. ენერგიული, გონიერი, კოლეგიალური, მტკიცე ნებისყოფის პიროვნება! დიდი სახელმწიფოებრივი შემოქმედების ადამიანი, რომელიც მაგარი ხელით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით უყრიდა მკვიდრ და მყარ საფუძველს საქართველოს დემოკრატიულ აპარატს, დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილს.

ნოე რამიშვილი!.. ახალგაზდობიდანვე სოციალური იდეებით გატაცებული, მშრომელთა ინტერესების დამცველი, იგი ერთი იმ მეთაურთაგანი იყო, რომელმაც მუშათა და გლეხთა საერთო მოძრაობას აუღო ალღო! და თეორიულ დებულებებს, ევროპიდან მოტანილს, ჩვენი ქვეყნის სინამდვილის ფაქტებზე ამოწმებდა, მათ უგუებდა, მათ სასარგებლოთ ამოქმედებდა. დიახ, იგი იყო ნოე ჟორდანიასთან და სხვებთან ერთად, რომელმაც ქართველი ერის ბედი და მომავალი მუ-

30272

საქართველოს პარლამენტი ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შათა და გლეხთა გაერთიანებას, მათ საერთო ინტერესებს დაუკავშირა.

უნივერსიტეტიდან გამორიცხული სტუდენტთა რევოლიუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის, იგი უკვე 1902—3 წლებში ხელმძღვანელობდა ბათომში მუშათა და გურიაში გლეხთა მოძრაობას, მათ გაერთიანებას. და ეს ექსპერიმენტი სრულიად ახალ მიმდინარეობისა საუკეთესო შედეგებით დაამთავრა.

აქ ჩვენ მის ბიოგრაფიის აღწერას არ შევუდგებით, თუმცა ვგრძნობთ, რომ საჭიროა ახალმა თაობამ და საერთოდ მთელმა ქართველობამ იცოდეს დაწვრილებით ამ დიდი და საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრება. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ მან არ იცოდა, რა იყო პირადი ცხოვრება. თვითონაც და მისი ოჯახიც—საზოგადოებრივ მოძრაობის ტალღებში მოხვედრილი, მხოლოდ ქვეყნის, ხალხის ინტერესების დაცვაზე ფიქრობდა. მას არ ჰქონია არავითარი კარიერა, გარდა საზოგადოებრივ მოღვაწეობისა, მშრომელთათვის თავდადებისა, ერის უზენაეს უფლებებზე ზრუნვისა. და თუ ის ერმა დააჯილდოვა იმით, რომ მას პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის როლი არგუნა, ეს იყო დაფასება და დაგვირგვინება მისი ათეულ წლების თავდადებული მოღვაწეობისა.

და როცა ერის ინტერესებმა მოითხოვეს, იგი უდრტვინველად უთმობს თავის მაღალ პოსტს, პარტიის მეთაურს, ნოე ჟორდანიას და თვითონაც ამოუდგება გვერდში, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ მთელი სახელმწიფო აპარატის შექმნას და განმტკიცებას მოანდომოს თავის გამჭრიახობა, დაუშრეტელი ენერგია და ერის სიყვარული!

ჩრდილოეთიდან მოსულმა უცხო ძალამ და ორიოდე საქართველოს მოღალატე შვილთა გამცემლობამ შეწყვიტა მისი ნაყოფიერი სახელმწიფოებრივი მუშაობა საქართველოს თავისუფლებასთან ერთად.

ნოე რაიშვილი უსაშინელეს მტრათ და მოწინააღმდეგეთ ყავდა მიჩნეული ამ დამპყრობ ძალებს: რამიშვილისებური სოციალისტები არ გააჭაჭანოთ საქართველოშიო, იყო პირველი კარნახი მოსკოვის მეთაურებისა საქართველოს დამპყრობთადმი. და ეს არის, თუ გნებავთ, საუკეთესო დამახასიათებელი ნოე რამიშვილის მოღვაწეობის სახელმწიფოებრივი და ნაყოფიერი მუშაობის. მისი ეშინოდა დიდი რუსეთის მპყრობელს ყველაზე მეტად! ეშინოდა სამართლიანად, რადგან ნოე რამიშვილი იყო დიდი ორგანიზატორი, ხალხის შემომკრები, გამაერთიანებელი. მან იცოდა ბრძოლა შიგნი, თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიანებში, მაგრამ იცოდა ყველას ფასი და ფასი ერთობის. მას ქონდა უნარი შინაურ განსხვავებათა მაღლა—ქვეყნის საერთო ინტერესების დაყენების. მან იცოდა პირადულის დათმობა და გულისწყრომის შეკავება—როცა ეს საერთო საქმისთვის იყო გამოსადეგი. განსაკუთრებით ვუსვამთ ჩვენ დღეს ხაზს მის ასეთ თვისებას იმიტომ, რომ ხშირათ იგი სხვის «ცოდვებსაც» იღებდა ხოლმე თავის თავზე, ან სხვები აწერდენ მას სხვის «ცოდვებს», მაგრამ იგი თავის სახელის დაცვასაც არ ცდილობდა, ოღონდ საერთო საქმეს არაფერი ვნებოდა.

ფიცხი და მკაცრი კამათში—ის ყოველთვის მზად იყო კომპრომისზე წასულიყო მორიგებისა და გაერთიანებისთვის. ეს ისტორიული სიმართლე უნდა აღდგენილ იქნეს!

ვისაც მისი ხსოვნის პატივისცემა სურს, იგი იმის ცხოვრების გაკვეთილით ისარგებლებს, მისი გზით სიარულს შეეცდება. «ძალა ერთობაშია» ამ ლოზუნგით იბრძოდა ის. ჩვენც უნდა ამ გზას გავყვეთ!

რ. არსენიძე.

პ ი რ ი ს პ ი რ!

ის, რაც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება შეიძლება ჩაითვალოს ომის წინამორბედათ და თუ მისი ქარიშხალის ავარდნა კიდევ შეჩერებულია, მხოლოდ იმ ტექნიკურ-ატომიურ იარაღების შიშით, რომელთა გამანადგურებელ საშუალებას შეუძლია მოსპოს დაპირისპირებული მხარეები...

დღევანდელი დაძაბული საერთაშორისო ვითარება არაა არც დღევანდელი და გუშინდელი ან კიდევ ქვეყნიერების ერთ რომელიმე შექმნილ მდგომარეობიდან წარმოშობილი—არამედ დიდი ხნიდან დაგროვილი საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორები, რომელთა ურთიერთ დამოკიდებულება თუ დაპირისპირება მძლავრად აქიჩავებენ და ხელს უშლიან ერთა დაახლოვებას, მათ შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას...

ომის ქაოსიდან გამოსულ და ეკონომიურად წელში გამართულ თავისუფალ ქვეყნებს ესაჭიროებათ მშვიდი ცხოვრება აღმშენებლობის საწარმოებლად, მით უმეტეს მათგან განთავისუფლებულ აზია-აფრიკის ქვეყნებს სჭირდებათ ზავი და მშვიდობიანობა, რათა შესძლონ ახლად მოპოებული თავისუფლება უზრუნველყონ შინაურ მრავალ დაბრკოლებათა გადალახვით, სოციალურ და ეკონომიურ საკითხების მოგვარებით. ამ საერთო მისწრაფებიდან გამორიცხულია საბჭოთა იმპერია, მოსკოვი, რომლის მიზნები და ზრახვები, რაც დრო მიდის აშკარა და ნათელი ხდება დანარჩენ კაცობრიობისთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი კონფერენციები, მოლაპარაკება, თანაარსებობის პრაქტიკული ღონისძიებანი—დიპლომატიურ ფრონტზე ხდება საშუალება დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის მისაძინებლად, მის მორალურ დემობილიზაციის მოსახდენათ, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს აგრესიული განზრახვების სისრულეში მოყვანა.

კიდევ მეტი, მოსკოვი გამუდმებით სთავაზობს კაცობრიობას ზავს, მაგრამ მისგან წამოყენებული პირობები თავისებურია—ბოლშევიკურია, ყოველთვის საბოლოო მიზნებისთვის განხრილი და გაწალდული, ატომიური იარაღების ამუშავების მუქარით წარმოდგენილი, რათა ომის შიშის ქვეშ დასავლეთს მიაღებინოს თავისთვის ხელსაყრელი პირობები. მაშასადამე თავისუფალ ქვეყნებმა ზავის საფასურად უნდა გაიღონ ერის და ადამიანის თავისუფლება...

მოსკოვის შემოტევამ ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, ამერიკის ლათინურ ქვეყნებში თუ კონგოში—დასავლეთის მართველი წრეები თავდაცვის პოზიციებიდან შეტევითი პოლიტიკაზე გადაიყვანა, და ერთა კავშირის ტრიბუნაზე ხრუშჩოვის ტლანქ გამოსვლას შესაფერისი პასუხი გასცა.

ორ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩატეხილი ხიდი სავსებით ჩაიძირა. ორმო გაითხარა. მათ შორის მორიგება შეიძლება იყვეს დროებითი, ცივი ომის ახალ-ახალ იარაღის გასამახვილებლად და მოსამართავად. რადგან ერთია მატარებელი ერის და ადამიანის თავისუფლების, მათი უფლების დამცველი და პატივისმცემელი, მეორე კი ერისა და ადამიანის დამშინებელი. მხოლოდ მეოცნებეთ შეუძლიათ წარმოიდგინონ მათი საბოლაო მორიგება...

თუ უკანასკნელად მოსკოვის შემოტევამ გაამახვილა და გააცხოველა თავდაცვის ინსტიქტი, რამაც საბჭოთა კოლონიალურ დამპყრობელ პოლიტიკას ფარდა ახადა, მეორეს მხრივ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის ერთი ნაწილი განსაკუთრებით ინტელექტუალური ძალები ბოლშევიზმის ბაცილებით დაავადმყოფებული—აღმოსავლეთის დესპოტიის წიაღში ხედავს ცხოვრების პროგრეს, სოციალურ და ეკონომიურ წარმატების შესაძლებლობას. რამდენათ დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მართველობაზე, იმდენათ სუსტდება მაგარი, მტკიცე პოლიტიკის გატარება მოსკოვის მიმართ. ამ გარემოებით სარგებლობს რეჟიმი ტოტალიტარული და თავის ვეებერთელა საპროპაგანდო მანქანის ამუშავებით იპყრობს გულუბრყვილოთა გონებას, ეპატრონება ახალ-ახალ პოზიციებს.

შეიძლება ვიფიქროთ რომ ხრუშჩოვის უხეშ გამოსვლებმა ეს საზოგადოებრივი აზრი რამოდენიმეთ მაინც შემოაბრუნოს, განსაკუთრებით აზია-აფრიკის ზოგიერთი ერები, თავიანთი «ნეიტრალიზმით» მოსკოვის წისქვილზე რომ წყალს ას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხამენ,—ჩააფიქროს და მოსკოვის მორალური იზოლიაციის მოხდენით,—შესაძლებელი გახდეს ერთი მთლიანი შეტევითი და მტკიცე პოლიტიკის წარმოება მოსკოვის მიმართ. რასაც მხოლოდ შეუძლია მოსკოვის აგრესიული გეგმების ჩაშლა და რაც უმთავრესია შინაურ ფრონტზე განაწამებ ხალხების ამოძრავება... რადგან თუ დასავლეთი არ დაინტერესდა დაპყრობილ ერთა ბედით და როგორც მდაბიო ენით არაერთჯერ იტყოდა ჩვენი ბელადი ნოე ჟორდანია «სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი»-ო და თუ ვეებერთელა ტერიტორიაზე ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრათა მხილება არ გახდება აქტიურ პოლიტიკის საგანი, სანამ მტკიცეთ არ შეითვისებს თავისუფალ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი და მართველი წრეები, რომ თავისუფლება ერთია და განუყოფელი, არა თუ შეწყდება ცივი ომი პირისპირ მდგომ ორ ბანაკს შორის, პირიქით, შეიძლება იგი გადაიქცეს ნამდვილ—საშინელ ომად და ჩასძიროს მთელი კაცობრიობა საშინელ ტანჯვა-წვალების მორევში...

ბ. ს.

საბჭოთა იმპერიალიზმი

(ამოღებულია რადიო «თავისუფლების» გადაცემებიდან)

I

საბჭოთა პრესა და საბჭოთა ხელმძღვანელები ქვეყანას აყრუებენ იმის ტრაბახით, რომ საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა, სადაც ეროვნული კითხვა იდეალურად არის გადაჭრილი; ერთა მეგობრობა ურყევად დამკვიდრებული და სხვ. მაგრამ იმ მწარე სინამდვილეს კი, რომელსაც თავისთავზე განიცდიან საბჭოთა ერები საიდუმლოების ფარდა აქვს ჩამოფარებული. საბჭოთა მეთაურებს მხოლოდ იშვიათად, ისიც კანტიკუნტად თუ წამოცდებათ ან გამოაქვეყნებენ ისეთ ცნობებს, რომელნიც ამ ტრაბახის გამტყუნებას წარმოადგენენ. ერთი ასეთი ცნობა შემთხვევით მოგვაწოდა ამა წლის 4 თებერ. გამოქვეყნებულმა სტატისტიკურმა მასალებმა 1959 წ. აღწერიდან. ამ მასალებიდან ვტყობილობთ, რომ რუსის მოსახლეობა პროპორციულადაც და აბსოლუტურადაც იზრდება თვით საბჭოთა რსფსრ-ში და იზრდება მათი რიცხვი და პროცენტული რაოდენობა მოკავშირე რესპუბლიკებშიაც. აი მაგალითად რსფრ-ში 1926 წელს რუსები შეადგენდენ 78 პროცენტს, 1959 წელს კი 83,2 პროცენტს. ამავე დროს არარუს რესპუბლიკებში, ყველგან გამოუკლებლივ რუსების რიცხვი ერთიორად ან ერთისამად გაიზარდა. მაგალითად საქართველოში 1926 წელს იყო რუსი 3,6 პროცენტი, 1959 წელს კი 10,8 პროცენტზე ავიდა.

საიდან მოდის ასეთი ნაყოფიერება ამ მთავარი ერისა საბჭოთა კავშირში? ძალაუნებურად იბადება კითხვა, რომ ეს არ არის ბუნებრივი გამრავლების შედეგი, რომ რომელღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა რუსი ელემენტები გახდნენ რუსებათ, ე. ი. მოხდა ასიმილაცია. როგორ შეიძლება ასიმილაცია. როგორ შეიძლება ასეთი პროცესი ხდებოდეს იქ, სადაც ეროვნული საკითხი იდეალურად არის გადაჭრილი? შერეულ ქორწინებას რომ მივაწეროთ ეს მოვლენა—არ იქნება სწორი: ვინაიდან შერეული ოჯახი რატომ უნდა მაინდამაინც გარუსდეს და არა გაქართველდეს მაგალითად? ამ ბუნებრივ აღრევას ამიტომ დიდ როლს ვერ მივაწერთ. მაგრამ არის სხვა მიზეზები, რომლებიც ყველა ე. წ. მოკავშირე ერების შევიწროებასა და უუფლებო მდგომარეობაზე მიგვითითებს. კომუნისტური ხელისუფლება, როგორც იცით, არც მალავს, რომ სწორედ ლენინის დოქტრინის მიხედვით ყველა ერი ერთერად უნდა გაითქვიფოს, ხოლო საბჭოთა კავშირში ასეთი გათქვეფა რუსის ერში გათქვეფად აქვს მას წარმოდგენილი და ამ «კომუნისტური-ისტორიული კანონის» განხორციელებას ყოველი შესაძლებლობლობით უწყობს ხელს. აი მაგალითად: შკოლის საკითხი: რუსებისთვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში გახსნილია რუსული შკოლები. ეს იყო დამოუკიდებელ საქართველოშიც, სადაც არც ერთს ერს არ ართმევდნენ უფლებას თავის დედაენაზე მიეღო განათლება. მაგრამ საბჭოთა კავშირში არა რუსი ერები თავის რესპუბლიკის გარეშე ასეთ უფლებას მოკლებული არიან.

აი რას სწერს ამის შესახებ რუსეთის სოც. დემ. პარტიის ორგანო საზღვარგარეთ «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ», რომელიც კარგადაა გარკვეული საბჭოთა პოლიტიკაში: «არარუსებისათვის თავის რესპუბლიკის გარეშე არ არსებობს ნაციონალური შკოლა, არც დამატებითი გაკვეთილები, მაგალითად უკრაინელებისათვის უკრაინულ ენის, ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად, არც ქართველებისათვის შესაფერისად ქართული საგნების შესასწავლად და ასე შემდეგ». და ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა რომელიმე ადგილზე საკმაო რიცხვია შკოლის ასაკის ბავშვებისა ამ ერებიდან. ცხადია ბავშვები ძალაუნებურად რუსულ შკოლაში შედიან. «ეს კი აძლევს ასიმილაციის პროცესს იძულებით ხასიათს» —ამბობს «სოციალის. ვესტნიკი». ხოლო ასეთი თავის ქვეყნის გარეშე მცხოვრებნი კი 3-დან 17 პროცენტამდე მოიპოვებიან. ქართველები, თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, მხოლოდ 3,5 პროცენტი ცხოვრობს საქართველოს გარედ. ეს ნიშნავს რომ ჩვენი ძველი კულტურის ერი ცდილობს თავის მიწაწყალზე თავის მოძმეთა შორის დარჩენას და დიდი სამსახურისა და დაწინაურებისთვისაც კი არ სტოვებს მას. ის «არ ცვლის თავის სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა» როგორც უმღეროდა რაფიელ ერისთავი. მაგრამ ეს არ ითქმის იმ პატარა ტომებსა და ეთნიურ ჯგუფებზე, რომელთაც, თუმცა ანბანი შეუქმნეს, მაგრამ რუსული ენა მეორე მშობლიურ ენად მოახვიეს. ასეთი ტომები და ჯგუფები უმთავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად რსფსრ-ის ტერიტორიაზე იმყოფებიან ჩრდილოეთის ან ციმბირის რაიონებში და ეჭვი არ უნდა, მათ ანგარიშზე გაიზარდა რსფსრ-ში რუსული ელემენტი 78 დან 83 პროცენტამდე. ასეთივე ასიმილაციის ტალღას ცოტად თუ ბევრად შეეწირენ ნაწილობრივ სხვა ეროვნებებიც. მეორე მოვლენა, რომელიც გამოამჟღავნა 1959 წლის აღწერამ—ეს არის, როგორც აღვნიშნეთ რუსული ელემენტის ზრდა მოკავშირე რესპუბლიკებში. ეს კი საბჭოთა მესვეურების წინასწარ გამიზნულ კოლონიალურ პოლიტიკას უნდა მიეწეროს. იგი ერთა მეგობრობის სახელით იფარება, მაგრამ ამით არ იცვლება მისი ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა. საქართველოში 10 პროცენტამდეა აყვანილი უფროსი ძმის ჩამოსახლებულთა რაოდენობა. ზოგ რესპუბლიკაში კი, როგორც მაგალითად ყაზახეთში, 43 პროცენტს აღწევს და ლამის აბსოლუტურ უმრავლესობად იქცეს. ამ რიგად საუკეთესო გადაჭრა ეროვნული საკითხისა სიტყვიერი თანასწორობის საფარველის ქვეშ ატარებს ასიმილაციისა და კოლონიზაციის პოლიტიკის ყველა ატრიბუტებს!

ეს გამომდინარეობს თვით ლენინის კომუნისტური დოქტრინიდან და ტარდება ცხოვრებაში კომუნისტური ხელისუფლების მიერ. მაშასადამე მისი შედეგები შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული მხოლოდ ამ რეჟიმის გაუქმებით და ამ ერთა განთავისუფლებით!

II

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ სტატისტიკური ცნობები უკანასკნელი აღწერისა და დავასკვენით, რომ ამ ცნობებით უდაოთ დასტურდება, როგორც რუსიფიკაცია პატარა ერების თუ მათი ნაწილების მაინც, ისე კოლონიზაცია რუსული ელემენტებით არარუს ერთა ტერიტორიისა. ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოში, მაგალითად, რუსული ელემენტი გაიზარდა 3,5 პროცენტიდან—10,8 პროცენტამდე, ე. ი. თითქმის ერთი-სამად. ზოგ სხვა ერში კიდევ უფრო მეტად. რით შეიძლება ამგვარი მოქმედების გამართლება?

ამის პასუხი უნდა ვეძიოთ კომუნისტური იდეოლოგიის ძირითად დებულებებში ეროვნული საკითხის შესახებ.

კომუნისტური იდეოლოგიისათვის ერი, და მისი უფლებები მხოლოდ იარაღია და საშუალება მუშათა კლასობრივი ბრძოლის ინტერესებისათვის. ლენინი, მაგალითად, მომხრე იყო პოლონეთის დამოუკიდებლობისა, მაგრამ არა პოლონეთის ერის ინტერესებისათვის, არამედ იმისათვის, რომ «პოლონეთის დამოუკიდებლობის ლოზუნგი მიმართული იყო რუსეთის თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ, მისი აზრით, რუსეთის სოციალდემოკრატებს (იმ დროს კომუნისტური პარტია არ არსებობდა) რუსეთისაგან პოლონეთის გამოყოფისათვის უნდა დაეჭირათ მხარი». რაც შეეხება პოლონელ სოციალდემოკრატებს, მათ პირველ რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გში უნდა დაეყენებიათ პოლონეთისა და რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და მოქმედების ერთიანობის მოთხოვნა». ე. ი. თვით პოლონელ მუშებს თავის ერის უდაო უფლებებზე ხელი უნდა აეღო. ამიტომ ლენინი გმობდა პოლონეთის მეორე სოციალისტურ პარტიას (პ.პ.ს.), რომელსაც პოლონეთის დამოუკიდებლობა ჰქონდა შეტანილი თავის პროგრამაში.

საკვირველი დიალექტიკაა! გაუგონარი ორპირობა და ცბიერებაა! თუ რუსის მუშა თხოულობს პოლონეთის დამოუკიდებლობას, პოლონეთის მუშამ ლოღიკისა და ელემენტარული გონიერების თვალსაზრისით მით უფრო უნდა წამოაყენოს ეს ლოზუნგი!

და თუ ასე მოექცა ლენინი პოლონეთის დამოუკიდებლობას რაც თვის დროზე ერთა განთავისუფლების სიმბოლოთ იყო გამოცხადებული თვით მარქსისაგან პირველ ინტერნაციონალში, ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოექცეოდა ის საქართველოს!

და მართლაც ლენინმა ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას 1920 წლის 7 მაისს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ამით ქართველ კომუნისტებისათვის საშუალება მიეცა ამ დამოუკიდებლობის დამხობისათვის ებრძოლათ! ამ უკანასკნელ შემთხვევაში თვითმპყრობელობასთან ბრძოლაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა. მეფის რუსეთი აღარ არსებობდა. სამაგიეროთ იყო საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ანტიკომუნისტური მმართველობა, ხალხის თავისუფალ არჩევნებზე დამყარებული. და აი ლენინის მთავრობა ცნობს ამ საქართველოს დამოუკიდებლობას, იმავე დროს თავის ჯარებს ატანს ორიოდე მოღალატე ქართველ კომუნისტებს, რომ საქართველო დაიპყრონ და საბჭოთა რუსეთს შეუერთონ. თეორიული გამართლება ამ იმპერიალისტური აქტისა ლენინს მზად აქვს. ეროვნული ინტერესები უნდა შეეწიროსო, ამტკიცებს ის, კომუნიზმის მშენებლობისა და კომუნისტურ სამფლობელოს გაფართოების ინტერესებს.

ამრიგად ეროვნული უფლების აღიარება მხოლოდ ტაქტიკური მანევრია კომუნისტური მიზნების მისაღწევად ან მის გზაზე დაბრკოლებათა ჩამოსაშორებლად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კომუნიზმის ინტეგრალური განხორციელება ლენინს წარმოდგენილი ქონდა, როგორც ყველა ერების ეკონომიური მოღონიერება, მაგრამ ამავე დროს ერთ ერად შერწყმა, ე. ი. ერთ ერში გათქვეფა. ყველა ამ იდეებს ჟურნალი «საქართველოს კომუნისტი» წარბ-შეუხრელად ქადაგობს თავის ფურცლებზე. საბჭოთა კავშირის პირობებში ამ თეორიულ წაჯექ-უკუჯექობას ერთი კონკრეტული სახე აქვს მიღებული: იგი ლენინის ერში სხვა ერების გათქვეფას აღიარებს მსოფლიო კანონათ.

ერის განთავისუფლება იმისათვის, რომ მან თვითონ თავის საკუთარი რწმენით, აზრით, ნებით და სურვილით გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვიტოს როგორც თავის შინაური ეკონომიკის და პოლიტიკური წყობის საკითხი, ისე თავის საგარეო ურთიერთობის პრობლემები, ე. ი. შევიდეს კავშირში ვისთანაც შეთანხმდება ან დარჩეს ცალკე—ლენინიზმისთვის მიუღებელია: ის მხოლოდ ერთა უფლებას უტოვებს ერებს: ნებით ან ძალით შევიდენ კომუნისტურ სამფლობელოში. ასეთია ეს ძირითადი დებულებები ლენინიზმისა, ეს საფუძველი და დასაბუთება ახალი იმპერიალიზმისა, რომელსაც დღეს საბჭოთა კავშირის მმართველები აწარმოებან. იგი შეიძლება ხელსაყრელი იყოს რუსის იმპერიალისტური წრეებისათვის, მაგრამ მავნებელია ყველა მშრომელისათვის და მიუღებელი ყველა სხვა ერებისათვის. აი ამიტომ ყველა არა რუსი ერები დაჟინებით ეურჩებიან და უარყოფენ კომუნისტურ იდეოლოგიას და პრაქტიკას.

ეს ახალი და ყალბი იდეოლოგიური საფუძველი ვერ იხსნის საბჭოთა იმპერიალიზმს ისეთივე დასასრულისაგან, როგორიც ძველ კაპიტალისტურ იმპერიალიზმს ეწია: ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა—თავის არსებით წინააღმდეგია კომუნისტური იდეოლოგიის, კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის და კომუნისტურ-იმპერიალისტური პოლიტიკის: იგი იბრძვის ნამდვილი თავისუფლების, ერის და ადამიანური ღირსების დაცვისთვის! და მომავალი მას ეკუთვნის!..

მოსკოვის მარცხი.

ხრუშჩოვის თითეული მოგზაურობა ახლო წარსულში იყო პირწავარდნილი მოურიდებელი, ნიღაბახდილი კომუნისტური პროპაგანდა.

უდიდესი ქვეყნის წარმომადგენელი სარგებლობდა მასპინძელთა სტუმართმოყვარეობით და ის რაც შეიძლება ეკრძალებოდეს უბრალო პროპაგანდისტს, დასაშვები დარჩა ხრუშჩოვისთვის, მან ჩამოიარა აზია-აფრიკის თუ ევროპის ქვეყნები, აქო და ადიდა საბჭოთა წყობილება, აძაგა და გაკიცხა «კაპიტალისტური სისტემა». თითეულ სიტყვაში მან არ დაიცვა უბრალო რიგიანობა, თავაზიანობა, მუქარა, ლანძღვა-ძაგება, გაკიცხვა, დაცინვა თავისუფალ ქვეყნების მეთაურების და მათი საქმიანობის. არავის ახსოვს საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი დეგრადაცია ტრადიციულ ნორმების და წესების, რასაც შემოაქვს ერთა დამოკიდებულებაში უნდობლობა, უპატივცემულობა და სიტყვის გატეხა. ამ ამორალურ ყოფაქცევას სამართლიანათ უწოდა საფრანგეთის გამოჩენილმა სოციალისტმა ჟულ-მოკმა «ხულიგანოკრატია».

ხრუშჩოვისთვის, რასაკვირველია, ყველა საშვალებები მისაღებია, დღეს მუქარა, ხვალ ღიმილი, ზეგ იარაღის ჩხარუნი, ხოლო შემდეგ გააფთრებული პროპაგანდა დაძმობილებისა და თანაარსებობის დასამკვიდრებლათ. ბოლშევიზმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მეთოდებისთვის არასოდეს უღალატნია და არც დღეს ღალატობს. სტალინის სიკვდილის შემდეგ ახალი პოზიციების აღება შეუძლებელი იყო მუქარით, მან აირჩია გზა ღიმილის. იბრძოლა უმაღლეს კონფერენციის მოსაწვევად. მას ქონდა თავისი გეგმა განსახორციელებელი. ბერლინის საკითხის მოგვარება ისე როგორც მას სურდა, ატლანტიკის კავშირის დანგრევა, მაგრამ, როცა თავისუფალ ქვეყნების ხელმძღვანელობამ მტკიცე ფრონტი შექმნა და მოსკოვთან სადაო საკითხები წინასწარ მოამზადა და ისე წარსდგა კონფერენციაზე—ხრუშჩოვმა იგი ჩაშალა. ეს იყო არსებითად დიდი მარცხი მოსკოვის, რომელიც მოელოდა დიდ შედეგებს თავის სასარგებლოთ.

დაიწყო ისევ მუქარა და შემოტევა. იაპონია-ამერიკის მეგობრობის ჩასაშლელად მასიური გამოსვლები რათა ამერიკას აზიის ქვეყნებში სახელი გაუფუჭონ და მით შორეულ აღმოსავლეთში მოშალონ თავდაცვითი ფრონტი. ხრუშჩოვის განცხადება, რომ საბჭოთა რუსეთი ცეცხლითა და მახვილით დაიცავს კუბას, აშკარად მოწმობს ამერიკის განდევნის ცდას ლათინურ ქვეყნებიდან და იქ ბაზების შექმნას წყალქვეშა ნავებისთვის...

მიანიჭა თუ არა დამოუკიდებლობა ბელგიამ კონგოს მაშინვე იქ გაჩნდენ მოსკოვის აგენტები და ანარქიის ცეცხლი დაანთეს. მოხდა მოულოდნელი ამბავი. ოცდაათი წლის ოფიცერმა პანღური ამოჰკრა საბჭოთა სახელმწიფოს ელჩს—ეს არის უდიდესი მარცხი სტრატეგიული და მორალური, რომელიც მოსკოვმა იგემა...

ხრუშჩოვმა ბრძოლა ერთა კავშირის ყრილობაზე გადაიტანა და წარადგინა პროექტი მისი რეორგანიზაციის, აქაც მან განიცადა მარცხი,—მისმა მიტინგურმა გამოსვლამ დასავლეთის ქვეყნების გაკიცხვამ და უმთავრესად ახლად მიღებულ აფრიკის ქვეყნებისადმი ქათინაურებმა არ გასჭრა...

საერთაშორისო ორგანიზაცია უფრო სჭირდებათ სწორეთ ამ მცირე ახლად მიღებულ ერებს, რომლებიც მასში ხედავენ ერთგვარ გარანტიას თავიანთ დამოუკიდებლობის არსებობისას, მათ სრულებით არ სურთ მოსკოვის მფარველობის ქვეშ ამოჰყონ თავი.

ხრუშჩოვის ისტერიულ გამოსვლებმა თუ მთლიანად ვერ განკურნა დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი, უსათუოდ ხელი შეუწყვეს მოსკოვის ნამდვილი განზრახვების გარკვევას...

უკანასკნელად საფრანგეთ-გერმანიას შორის მომხდარ გაუგებრობამ უდიდესი იმედი დაუბადა მოსკოვს, როგორც ატლანტიკის კავშირის ისე ევროპის მთლიანი ფრონტის ჩასაშლელად. მოსკოვის იმედი უსაფუძვლო გამოდგა, ახალმა მოლაპარაკებამ გერმანია-საფრანგეთს შორის კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა და მით ევროპის თავდაცვითი ფრონტი გაამაგრა.

ა. ბადრიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ ამახინჯებს საქართველოს ისტორიას?

(ამოღებულია რადიო «თავისუფლების» გადაცემებიდან)

გაზეთმა «პრავდამ» 1959 წ. 10 ნოემბერს დაბეჭდა და ქართულმა «კომუნისტმა» მეორე დღესვე გადაბეჭდა მეთაური, რომელშიც ვკითხულობთ: «საქართველოს სსრ გამომცემლობანი უშვებენ ბევრ წიგნს, რომლებიც მიძღვნილია საქართველოს შორეული წარსულისადმი და რომლებშიც იდეალიზებულია მისი ისტორიის ფეოდალიზმამდელი და ფეოდალური პერიოდები». ამას მჟავანაძეც გამოეხმაურა და ერთი ალიაქოთი ასტეხა თავისი მომავლინებელი მოსკოვის ბატონების გულის მოსაგებად. აი ამიტომ არ გვინდა უპასუხოდ დავტოვოთ ეს ამბავი!

როგორც ხედავთ, წამოყენებულია ორი ბრალდება: ერთი ის, რომ ქართველები ბევრ წიგნს უშვებენ თავისი წარსულის გასაშუქებლად; მეორე ის, რომ ამ წიგნებში «იდეალიზებულია» მთელი წარსული ისტორია საქართველოსი. ჩვენ ვამბობთ მთელი წარსული, რადგან ფეოდალიზმამდელი და ფეოდალური პერიოდების გარეშე დარჩენილია სულ დიდი 100 უკანასკნელი წელი ბატონყმობის გადავარდნიდან.

მაგრამ ახლა ვიკითხოთ რით არის ცუდი, თუ ერი, რომელსაც მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს; თუ მეტის არა, 1500 წლის მწიგნობრობა გააჩნია, თავისი კულტურის «ოქროს ეპოქაც» ჰქონდა, და გენიალური ნაწარმოებებიც შეუქმნია და სხვა—თავისი წარსული გაარკვიოს, თავის ისტორია დაამუშაოს და მასში ერის ერთგულ შვილებს დაანახვოს ეროვნული ღირსების გამომსახველი, ქართული ხასიათის გამომჭედი მოვლენები! მასში დაანახვოს შოთას ზოგად-ადამიანური ძმობა, მეგობრობა, გამტანობა და სიყვარული, დღევანდელ საკაცობრიო იდეალებსაც რომ ეხმაურება! რასაკვირველია, ვისაც ასეთი ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს, ბევრი წიგნის გამოცემაც დასჭირდება მის გასაშუქებლად! განა ეს დასაძრახია?

მეორე ბრალდებაა ამ წარსულის იდეალიზაცია. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ისტორიკოსმა არ უნდა გადააჭარბოს, ობიექტივობა უნდა დაიცვას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ამ მხრივ არც ერთი ქართული ისტორიული ნაშრომი, გარდა კომუნისტურისა, არ შეგვხვედრია, რომელიც გადაჭარბებულ ან დამახინჯებულ სურათებს იძლეოდეს. მით უმეტეს არსად გვინახავს ფეოდალიზმის ქება. პირდაპირ სასაცილოა! აბა, მე-20 საუკუნეში ვინ იფიქრებს ბატონყმობის იდეალიზაციას? პირიქით, ვინ არ იცის, რომ ფეოდალურმა დაჩუცმაცებამ და კინკლაობამ ბევრი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას! მაგრამ ეს ფეოდალური წყობილება რომ არ ჰგავდა აღმოსავლურს, არც საქართველოს მეზობლების წყობილებას რუსეთის ჩათვლით, და სამაგიეროდ თითქმის პირწმინდათ, დეტალებშიც კი, ჰქონდა მსგავსება დასავლეთ ევროპულ ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდალიზმთან,—ეს ხომ დღეს სადაო აღარ უნდა იყოს! არც ის, რომ ქართული ფეოდალიზმი სრულიად დამოუკიდებლად განვითარდა ევროპულისაგან. ამას ამოწმებს ყველა ევროპიელი მოგზაური, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უნახავს წარსულ საუკუნეთა განმავლობაში. ქართველი ხალხი რომ დღესაც მიისწრაფის ევროპის კულტურისაკენ, რომელიც უფრო ეგუება მის ბუნებას და ისტორიულ კულტურას,—ეს ხომ არ უწვავს გულს მოსკოვის კომუნისტებს?

მაგრამ განა ერს არ აქვს უფლება ჰქონდეს ეროვნული თავისებურებანი? რასაკვირველია, აქვს. და ეს უნდა გამოავლინოს ობიექტურმა ისტორიკოსმა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს არ შეესაბამება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას! და ეს მთავრობა ისტორიკოსისაგან ამ პოლიტიკის გამართლებას მოითხოვს წარსულის გაშუქებაშიაც. ამ მოთხოვნას გულმოდგინედ ასრულებენ რიგი და რიგი კომუნისტი ისტორიკოსები და მწერლები, როგორც, მაგალითად, ხაჭაპურიძე და ძმანი მისნი. საბჭოთა მთავრობის გულის მოსაგებად ისინი პროგრესისტებად აცხადებენ ყველა იმას,—თუნდა ფეოდალურ მეფეებსაც,—რომელნიც რუსეთისაკენ იხედებოდნენ, აკრიტიკებენ ან მალავენ ისეთ ფაქტებს, რომელნიც საქართველოს ევროპულ მიდრეკილებას ამჟღავნებენ. თვით საქართველოს ძალადობით რუსეთთან შეერთება, დადებული მფარველობითი ხელშეკრულების ცალმხრივათ დარღვევა, საქართველოს სახელმწიფოს გაუქმება, მისი უბრალო გუბერნიებად გადაქცევა—დიდ პროგრესულ მოვლენად არის მათგან მიჩნეული. ჩვენ წარსულ ისტორიას ლენინიზმის სქემების მიხედვით აგებენ. მაგალითად ეკლესიის, სარწმუნოების როლს ამცირებენ, თუმცა სარწმუნოება ჩვენს ისტორიულ წარსულში გაბატონებულ საზოგადოებრივ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა და ძალიან ხშირად დიდ პროგრესულ როლსაც ასრულებდა!

მაგრამ სწორი შეფასება ისტორიისა—არ შეეფერება კომუნისტების დღევანდელ პოლიტიკას, ეკლესიის დევნას, უფროსი ძმის უანგარო დახმარების თეორიას, რუსეთის კავკასიაში და კერძოთ საქართველოში შემოჭრის პროგრესულობას. ამ უკანასკნელი დებულების წამოყენებაში მარქსის აზრს მაინც უნდა შეეჩერებინა კომუნისტი კალმოსნები! მარქსი ხომ თავის დროზე მთელ ევროპას შეღალადებდა, რომ კავკასიის დაპყრობის წინააღმდეგ ამოეღოთ ხმა და გმობდა მათ გულქვაობას ამ უსამართლობის დაუგმობლობისათვის! უნდა შეეჩერებინა, მაგრამ ვერ შეაჩერა! მოსკოვის კომუნისტების ისტორიული კონცეპცია მათი დღევანდელი იმპერიალიზმის გასამართლებლად ცდილობს ჩვენი ერის ისტორიული მოვლენებიც მოიშველიოს და მათი გადამახინჯებაც ამიტომ შედის მათ პროგრამაში. ამავე მიზნით თვით მარქსის კონცეპციასაც ივიწყებენ და უარყოფენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხალხი ამას კარგად ხედავს! ჩვენ კი აქ გვინდა მის მაგიერ ვუთხრათ ახალ იმპერიალისტებს:

კომუნისტების უდიდესი ბოროტებაა და ჩვენ ერს გამოუსწორებელ შეურაცხყოფას აყენებს ის, რომ მას გარედან უკარნახებენ, თუ როგორ უნდა წეროს და შეაფასოს თავისი ქვეყნის თავგადასავალი. ქართველ ერს აქვს უფლება იამაყოს თავისი ისტორიით, კულტურით და მომავალს იმედით შეჰყურიოს! მოსკოვს ამასთან აბა რა ხელი აქვს!

მორის შუმანი საქართველოს შესახებ!

«Le Journal Parlement»-ში 19 ოქტ. 1960 წ. № 958 დაიბეჭდა საფრანგეთის საგარეო სამინისტროს კომისის თავმჯდომარის—ბ-ნ მორის შუმანის წერილი, რომლის თარგმანსაც აქვე ვათავსებთ:

«იმ დროს, როდესაც ბ-ნი ხრუშჩოვი გაერთიანებულ ერების გენერალურ კრების ტრიბუნაზე ფეხსაცმელს იხდიდა, საბჭოთა დელეგატმა კომისიაში გააკეთა საფრანგეთისადმი შეურაცმყოფელი განცხადება, რამაც გამოიწვია ჩვენი წარმომადგენელის—მიშელ დე კამერეს შემდეგი რეპლიკა: «გთხოვთ ბატონო თავმჯდომარე, გაახსენოთ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს; რომ როცა ჰუნგრელი სტუდენტები, საბჭოთა ჯალათების მიერ ტყვიით განგმირულნი სულს ლევდენ, მარსელიოზას მღეროდნენ».

ეს ინციდენტი არ მოითხოვდა კომენტარიას, რომ შეურაცმყოფელი, მოსკოვის მსახური არ ყოფილიყო ვინმე კუჭავა, რომელიც უწოდებს თავის თავს საქართველოს საგარეო მინისტრს.

არ იქნება უსაფუძვლო მოვაგონოთ «მაღალ ღირსების პიროვნებას», რომელიც ლაპარაკობს «კოლონიალურ ჩაგვრაზე», «იმპერიალიზმის ტირანიაზე», რომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა, მართლაც, ქრონოლოგიური აღრიცხვით, გახდა პირველი მსხვერპლი ნეოკოლონიალიზმის, რომლის გახსენება ფეხსაცმელებს ახდევინებს ბ-ნ ხრუშჩოვს.

1918 წელს 26 მაისს, საქართველომ, ისარგებლა რა რევოლიუციით, გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა. 7 მაისს 1920 წელს მოსკოვმა იცნო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და დასდო მასთან სამშვიდობო-თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. 1921 წელს თებერვალში საბჭოთა ჯარები ომის გამოუცხადებლათ, შეესია საქართველოს და ექვსი კვირის განმავლობაში უთანასწორო ბრძოლაში დაიპყრო.

პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ნაციონალური მთავრობა, რომელიც მოკავშირეებისაგან იყო ცნობილი, და რომელმაც წარმოგზავნა პარიზში მისი სრულ უფლებიანი მინისტრი, მიმართა თხოვნით ევროპის დემოკრატიას—დაიცვან დაჩაგრული ქართველი ერის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ვინც აღიმაღლა ხმა იყო ედუარდ ერიო, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე—რაიმონ პუანკარე ასე გამოეხმაურა მას: «პატივცემული ბ-ნი ერიო, სავსებით გამოხატავს სურვილს ჩვენი მთავრობისას, რომელ მაც არა ერთხელ მოახსენა ეს ჩვენი აზრი საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელთანაც ჩვენი საგარეო სამინისტრო მუდმივ კონტაქტშია.

მეორე სოციალისტურმა ინტერნაციონალმა თავის მხრივ 2-დან 5 აპრილამდე 1922 წ. პიერ რენოდელი და ემილ ვანდერველდე უშედეგოთ შეეცადენ შეთანხმებას ბერლინში მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენელთან—ბ-ნ რადეკთან, რომ მოეხდინათ საქართველოში პლებისციტი შერეული კომისიის მეთვალყურეობით, რაზედაც რადეკმა ცინიკურად განუმარტა სოციალისტების ლიდერებს, რომ საქართველო წარმოადგენს მათთვის მეტად დიდ მნიშვნელოვან ქვეყანას, რადგან ის გზა და ხიდია კავკასიის ნავთისო.

ერთა ლიგამ ორჯერ მოუწოდა მის აღმასრულებელ ორგანოს: ახლო ედევნებიათ თვალ-ყური საქართველოს ვითარებისათვის.

გამბურგში მუშათა სოციალისტურმა მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა მოითხოვა საბჭოთა ჯარების ევაკუაცია საქართველოდან და ქართველი ერის სუვერენული უფლების აღდგენა. რასაკვირველია, ამ მოწოდებას არავითარი გამოძახილი არ გამოუწვევია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ქართველი ერი არ დაემორჩილა თავის მწარე ბედს და 28 აგვისტოს 1924 წელს საქართველოში მოხდა ეროვნული აჯანყება, რომელიც მოსკოვმა სისხლში ჩაახრჩო. წლების განმავლობაში ყველა თავისუფალი ქვეყნების დემოკრატები და სოციალისტები ამაოთ აღნიშნავდენ საქართველოს წამებას. ეს მოგონებები საბაბს გვაძლევს დროულათ ჩავთვალოთ და მოვაგონოთ ბ-ნ კუჭავას, რომ ის ალბათ ისევე არის უფლებამოსილი ილაპარაკოს საქართველოს ხალხის სახელით, როგორც კადარი უნგრეთის სახელით, რომელიც ალბათ შენ გვთავაზებს რეფერენდუმის მოწყობას ალყირში ინტერნაციონალური კომისიის კონტროლის ქვეშ. უნდა მას შევეკითხოთ: რომ მოსკოვს ასეთივე პროცედურა განეხორციელებია 1922 წელში საქართველოში, თუ იქნებოდა ბ-ნი კუჭავა დღეს აქ წარმოდგენილი საქართველოს საგარეო მინისტრის ტიტულით? მაგრამ ამ საქმის გაკეთება არც დღეს არის დაგვიანებული.

რას ფიქრობს ბ-ნი რიშეკიმ ხაჰა, რომელმაც 10 ოქტომბერს ერების გაერთიანებულ კრების ტრიბუნიდან ასეთი მიმართვა გააკეთა: ბატონო დელეგატებო, თქვენს ქვეყანაში რომ თავისუფალი არჩევნები მოხდეს, რამდენი თქვენთაგანი იქნებოდა ამ სხდომის მონაწილედ წარმოგზავნილი?»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჟდენ არსენიძის იუბილე.

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცნობილ მოღვაწეს, დამოუკიდებელ საქართველოს იუსტიციის მინისტრს და რადიოსადგურ «თავისუფლების» ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორს რაჟდენ (იგივე მიშა) მათეს ძე არსენიძეს ამა წლის 14 ოქტომბერს შეუსრულდა ოთხმოცი წელი.

ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად ქ. მიუნხენში გამართულ იქნა ორი იუბილე. პირველი გამართა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელმა ევროპაში ბ-ნმა კელიმ 28 სექტემბერს, ვინაიდან ძველი სტილით დათარიღებისა და სხვა პრაქტიკული მიზეზით რ. არსენიძე ოფიციალურად ითვლება 28 სექტემბერს დაბადებულად. მეორე კი გამართა რადიოსადგურ «თავისუფლების» ქართულმა რედაქციამ, რომელმაც მოიწვია მთელი ადგილობრივი ქართველობა, ფაქტიურ დაბადების დღესთან დაკავშირებით, კვირას 16 ოქტომბერს.

ბ ნმა კელიმ მოიწვია რ. არსენიძის იუბილეზედ მიუნხენის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში ვახშმად ამერიკული კომიტეტის უმთავრესი ადგილობრივი თანამდებობის პირები და რადიოსადგურ «თავისუფლების» ყველა ეროვნული რედაქციის მთავარი რედაქტორები. ქართული რედაქციისგან მიწვეულ იქნა გარდა თვით იუბილარისა მისი თანაშემწე-რედაქტორი ნიკო იმნაიშვილი.

ბ ნმა კელიმ გახსნა იუბილე და წარმოთქვა მოკლე მაგრამ შინაარსიანი და თბილი გრძნობებით გამსჭვალული სიტყვა, რომლითაც აღნიშნა რ. არსენიძის დიდი ღვაწლი რადიოსადგურ «თავისუფლების» და ამერიკული ინსტიტუტის მუშაობაში. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს რადიოსადგურ «თავისუფლების» სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა, და მთავარმა რედაქტორებმა. რადიოსადგურის ვიცე დირექტორმა ქ-ნმა განტერმა და პოლიტიკური განყოფილების მრჩეველმა ბ-ნმა მალამუტმა, რომელნიც მიუნხენში არ იმყოფებოდენ, გამოუგზავნეს იუბილარს წერილობითი მილოცვები. ქართველი თანამშრომლების, მეგობრების და პატივისმცემლების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ნიკო იმნაიშვილმა, რომელმაც დაახასიათა იუბილარის მთელი ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ჟურნალისტური მოღვაწეობა, მისი ფასდაუდებელი ღვაწლი მშობელი ერის და აგრეთვე სხვა ერთა მიმართ.

ბოლოს იუბილარმა წარმოსთქვა მეტად გრძნობიერი სამადლობელი სიტყვა.

მთელი საღამო ჩატარდა უაღრესად მხიარულ და სასიამოვნო ატმოსფეროში.

——

30272

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 ოქტომბერს ქართველი საზოგადოება შეიკრიბა სასტუმრო «ლეოპოლდში», სადაც ის სადილზედ მიიწვია რადიოსადგურ «თავისუფლების» ქართულმა რედაქციამ. რედაქციის სახელით საზეიმო კრება გახსნა მოსე იმნაიშვილმა, რომელმაც მოკლე სიტყვით აღნიშნა იუბილარის ღვაწლი ქართველი ერის და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, როგორც სახალხო პარტიის წინაშე. მანვე გააცნო კრებას იუბილარის სახელზე მოსული მილოცვები.

სახელდობრ, საფრანგეთიდან:

ნოე ცინცაძისგან ქართული ეროვნული საბჭოს სახელით,

ლევან ფაღავასგან ქართული სათვისტომოს სახელით,

შალვა აბდუშელის და პავლე სარჯველაძისგან საქ. ს.-დ. მ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს სახელით,

ნიკო ურუშაძის და ფილიპე შარაძისგან საქ. სოც.-ფედ. პარტიის საღვვარგარეთელი ბიუროს სახელით,

ნიკო ორაგველიძის და გრიშა წერეთლისგან საქ. ს.-დ. მ. პარტიის ორგანიზაციის სახელით,

ილიკო სალუქვაძისგან სოშოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის ორგანიზაციის სახელით,

გ. ერაძისგან, მ. ბერიშვილისგან და ის. ქარსელაძისგან;

გერმანიიდან:

ქ-ნ პელო გეგელაშვილისგან,

ქ ნ თამარ გეგელაშვილ-გრუნვალდისა და მისი მეუღლის გერჰარდ-გრუნვალდისგან (აუგსბურგი),

გ. საჯაია, კ. ვეკუა და დ. ბერძენიშვილისგან (ბერლინი),

დავით ვაჩნაძისგან,

ქ-ნ მარგა კორძაიასგან (მიუნხენი).

გიორგი ვეფხვაძისგან (მიუნხენი);

შვეიცარიიდან:

გრიგოლ რობაქიძისგან (ჟენევა),

კიტა ჩხენკელისგან (ციურიხი),

ლეა ფლურისა და იოლა მარშევისგან (ციურიხი);

ავსტრიიდან:

ერეთეოზ რამიშვილისგან (ზალცბურგი).

მილოცვების წაკითხვის შემდეგ ზეიმის ხელმძღვანელობა და თამადობა დაევალა პროფესორ მიხეილ ახმეტელს, რომელმაც აღნიშნა პირადი მოგონებების სახით რაჟდენ არსენიძის მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

შემდეგ იუბილარს მიესალმენ: ვანო ანდრონიკაშვილი, როგორც გერმანიაში მყოფ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე, და ვალ. ცხომელიძე «თეთრი გიორგის ორგანიზაციის» სახელით. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს კარლო ინასარიძემ და ნიკო იმნაიშვილმა.

იუბილარის გრძნობიერი სამადლობელი სიტყვით დამთავრდა სასიამოვნო ატმოსფეროში ჩატარებული ქართული ზეიმი.

ნ. ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარიზის ბლოკის მოწოდება.

ამა წლის 15 ოქტომბერს ნიუ-იორკში ლიგამ საბჭოთა ერების განთავისუფლების (პარიზის ბლოკი) გადასცა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურ კრების თავისუფალ ერების დელეგატებს მოწოდება, რომელსაც აქვე ვათავსებთ შემოკლებით.

«აღმოსავლეთის უსაზღვრო სივრცეზე გაიშალა და გავრცელდა მეოცე საუკუნის ახალი უზარმაზარი კოლონიალური იმპერია—«საბჭოთა კავშირი», სადაც მოსკოვის დიქტატურის ქვეშ ბინადრობენ მრავალი ერები, რომელთაც თავისუფალი ქვეყნები იშვიათად თუ გაიხსენებენ ხოლმე...

ეს ერები არსებობდენ როგორც დამოუკიდებელი თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფონი, ბევრი მათგანი საერთაშორისო უფლებით ცნობილნი. ერები დიდი ისტორიული წარსულით და კულტურით. რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ, მოსკოვის წითელი ლაშქარი შეესია ამ თავისუფლების მოტრფიალე ხალხს თვითეულს ცალკე და მიუხედავათ ერების თავგანწირული, გმირული წინააღმდეგობის, უხეში ძალის წინ, უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ და მათი ქვეყნები ძალმომრეობით იქნენ დაპყრობილნი: სომხები და აზერბაიჯანელები, ქართველები და ჩრდილო-კავკასიელები, ბელორუსები და უკრაინელები, თურქესტანელები და თათარ-ბაშკირები (იდელ-ურალი), ყაზახები და ყირიმის თათრები.

ამ ტყვეთ მყოფ ერების სახელით, ვისაც წართმეული აქვს ყოველგვარი მოქალაქობრივი უფლებანი და დესპოტიურ რეჟიმის გამო ვერ ახერხებენ თავიანთ დუხჭირის თავისუფლათ საქვეყნოთ გამოთქმას, მაგრამ, რომლებიც განუწყვეტლივ ატარებენ ურყევ ლტოლვას მონობიდან თავის დასახსნელათ, ლიგა საბჭოთა კავშირის ერების განთავისუფლების (პარიზის ბლოკი) მოგმართავთ გაერთიანებულ ერების გენერალურ კრების თავისუფალ ერების დელეგატებს.

ჩვენი დროის ისტორიული ამბები ისე დალაგდა, რომ ამ საკაცობრიო, სათნო, ჰუმანიურ მიზნების მატარებელ დაწესებულებაში თქვენს წინაშე წარმოსდგება უზურპატორი და დიქტატორი, წითელი ქურუმებით გარს შემორტყმული, რომელთა შორის იმყოფება ადამიანი, რომელმაც თავის მოსკოველ პატრონთან ერთად დაიმსახურა საქვეყნო სახელი თავის ერის სისხლიანი ჯალათის. ეს კი უნდა აღინიშნოს, როგორც უდიდესი შეურაცყოფა უმაღლესი შეკრებულობის,—შებღალვა მისი მაღალი ღირსების და მორალის.

თქვენ გეახლებათ ბატონი ხრუშჩოვი ხელში მშვიდობიანობის ემბლემით, მშვიდობიანობის მანტიაში გახვეული, საერთო განიარაღების პროექტით. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენ დიდ ყურადღებას მიაქცევთ მის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილ წინადადებებში ერთ მეტად მნიშვნელოვან არსებით მხარეს, სახელდობრ იმას,—მათი პროექტი თუ ითვალისწინებს საოკუპაციო ჯარების გაყვანას ჩვენი ქვეყნების ტერიტორიებიდან. ვინაიდან ჩვენ არ წარმოგვიდგენია ერებ შორის მშვიდობიანი თანაარსებობის დამყარება, თუ მას წინ არ უძღვის ოკუპაციამდე არსებული პირობების აღდგენა.

სამწუხაროდ, მაგალითი ჩვენი ქვეყნების, რომლებიც განიცდიან საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმის კოლონიალურ მძიმე ჩაგვრას, ჩვენ გვაძლევს საბუთს მივაქციოთ ყურადღება თავისუფალ ქვეყნების პასუხისმგებელი წარმომადგენლების, უმთავრესად კი იმ ერების, რომლებმაც მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა უკანასკნელი ომის შემდეგ კოლონიალიზმიდან თავის დახწევით.

თავისუფალ კაცობრიობას თავს დასტრიალებს საფრთხე ტოტალიტარული მოსკოვის, მისი ახალი იმპერიალისტური ტიპის კოლონიალიზმით, რითაც უკანასკნელ ომიანობის დროს იმსხვერპლა ერები: ჩრდილო-კავკასიაში ჩეჩნები და ინგუშები, ყირიმში თათრები, რომლებიც მთლიანათ აყრილნი და გადასახლებულ იქნენ ციმბირში. მათი ავტონომიური რესპუბლიკები კი ერთი კალმის მოსმით «გაუქმებულნი».

ერების მთლიანათ მოსპობა, აი რა ახასიათებს რუსეთის კომუნისტური მართველობის ახალ სასტიკ ფორმას კოლონიალიზმისას, რასაც ფარულად და აშკარად ანხორციელებს საბჭოთა იმპერიალიზმი. მასიური ძალდატანებითი გადასახლება, ერების ერთმანეთში აღრევა გარდაიქცა მათ პოლიტიკურ სისტემათ, რაც ემუქრება პატარა ერებს სრულიად მოსპობით. საბჭოთა იმპერიის შიგნით ყოველი მცირეოდენი გამოხატულება ნაციონალური ლტოლვის სასტიკათ იდევნება, სამაგიეროთ გარეთ მოურიდებლათ და წარბშეუხრელათ გამოდის ყველა დაჩაგრულ ერების გამანთავისუფლებელის როლში. მისდევს რა ლენინის და სტალინის ნაანდერძევ გზას საქვეყნო რევოლიუციის უმაღლესი შტაბი—კომუნისტური პარტია, მეტად ხელოვნურად იყენებს დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების ლოზუნგებს, როგორც საუკეთესო იარაღს მთელი ქვეყნის გასაბჭოებებისათვის. მათ მიერ განთავისუფლებული ერები ნებით თუ ძალით მოექცევიან საბჭოთა იმპერიის ბრჭყალებში. ასეთი გზა გაიარეს შუა აღმოსავლეთ ევროპის ერებმა, ასეთივე ბედს უმზადებს მოსკოვი სხვა ერებსაც, რომლებიც არ მიაქცევენ ყურადღებას სხვა ერების წარსულ გაკვეთილებს და გულუბრყვილო ნდობით შეხვდებიან მოსკოვის გამოწვდილ ხელს დახმარებისათვის.

ჩვენ დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი ეს მოწოდება გულწრფელი თანაგრძნობით იქნება მიღებული რომ დაეხმარონ ჩვენს ერებს მათ სამართლიან ნაციონალურ მისწრაფებებში!—ძალით მოტაცებულ დამოუკიდებლობის და თავისუფლების აღსადგენათ.»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ერთა განმათავისუფლებელ ლიგის წლიური კონფერენცია (პარიზის ბლოკი).

ქ. მიუნხენში ოქტომბრის 30-დან 2 ნოემბერს ჩატარდა პარიზის ბლოკის წლიური კონფერენცია ეს ბლოკი ამჟამად აერთიანებს საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ თუ შიგ მოქცეულ ერების გადმოხვეწილობაში მყოფ ცხრა ეროვნულ-პოლიტიკურ ცენტრს. კავკასიელ ერებთან ერთათ მასში შედის უკრაინელები, ბელორუსები, ყირიმელები, თურქესტანელები და იდელ-ურალი. დელეგატები ჩამოვიდნენ ევროპის, აზიის თუ ამერიკის ყველა კუთხიდან, სადაც პოლიტიკურ ემიგრაციას შეუქმნია ეროვნული ცენტრი. გაერთიანებულ ქართულ ეროვნულ საბჭოს სახელით კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ბ ნ ნ. ცინცაძის თავმჯდომარეობით შემდგარი დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ ბ-ნნი რ. არსენიძე, ნ. ურუშაძე და დ. კლდიაშვილი.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულნი იქმნენ შემდეგი პირნი: ჩრდილო-კავკასიელი ბ. ა. კანტემირი თავმჯდომარეთ, უკრაინელი პროფესორი იურჩენკო მის მოადგილეთ, მდივნათ ნ. ურუშაძე.

კონფერენციამ პირველ დღეს მოისმინა ლიგის მორიგი თავმჯდომარის ბ-ნი აბრამჩიკის წლიური მოღვაწეობის ანგარიში. იმავე დღეს მოსმენილი იქმნა აგრეთვე ბ ნ ნ. ცინცაძის მოხსენება საკონტაქტო კომისიის მუშაობის შესახებ.

მეორე დღეს კონფერენციამ მოისმინა უკრაინელ პროფესორ ფედენკოს მოხსენება შემდეგ თემაზე: «თავისუფალი დასავლეთი და საბჭოთა კავშირის ერები».

ყველა ამ მოხსენებების გარშემო გამართულ კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კონფერენციამ მიიღო ბ-ნ ნ. ცინცაძის მიერ წარდგენილი პოლიტიკური რეზოლიუცია *).

სხვადასხვა საკითხების განხილვის და რიგ დადგენილებათა მიღების შემდეგ, კონფერენციამ აირჩია ლიგის ხუთ წევრისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდა ბ-ნი ნ. ცინცაძე. წესდების მიხედვით ლიგას ჰყავს თავისი კომიტეტი, რომელიც შესდგება ეროვნულ ორგანიზაციის თითო წარმომადგენელისაგან. ქართულ დელეგაციიდან იქ წარგზავნილი იქმნა ბ-ნი რ. არსენიძე, მის მოადგილედ კი ბ-ნი ვ. ცხომელიძე.

დამსწრე.

---

*) ეს რეზოლიუცია დაიბეჭდება «ჩვენი დროშა»-ს მომავალ ნომერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთისგან დაპყრობილ ერთა კვირა ამერიკაში.

გასულ წელს, ამერიკის კონგრესის მიერ გამოცემულ კანონის თანახმად—საბჭოთა რუსეთისგან დაპყრობილ ერთა კვირა—წელს ჩატარებულ იქნა 17—24 ივლისს.

ამერიკის სხვადასხვა შტატების მართველთაგან წინასწარ იქნა გამოცემული მოწოდებები, სადაც ახსნილ-განმარტებული იყო ამ უდიდეს პოლიტიკურ აქტის მნიშვნელობა.

შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოსცა მიმართვა, სადაც აღნიშნულია დაპყრობილ ერთა ბედი და ამერიკის ხალხთა დაპირება დაპყრობილ ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში დასახმარებლად.

ყველა დიდ ქალაქში მოხდა მიტინგები, სადაც სიტყვებით გამოდიოდენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი და კიცხავდენ საბჭოთა იმპერიალისტურ პოლიტიკას და აღუთქვამდენ მებრძოლ ერებს დახმარებას.

გაზეთებმა წინასწარ ამცნეს საზოგადოებას—კვირის—პროგრამა და დაახასიათეს მისი მნიშვნელობა.

17 ივლის ყველა ეკლესიებში გადახდილი იქნა პარაკლისი.

ნიუიორკის დიდ ტაძარში გამოცხადდენ დაჩაგრულ ერთა დელეგაციები—ნაციონალური დროშებით. მრავალრიცხოვან დამსწრეთა წინაშე რექტორ ზიტონგოლმა—წარმოსთქვა შინაარსიანი სიტყვა. მან მოუწოდა მთელ განათლებულ კაცობრიობას მხარი დაუჭიროონ დაჩაგრულ ერთა ბრძოლას.

ჩვენ ვსდუმდით ამდენხანს ამ ერთა ბედის შესახებ—ამიერიდან ის უნდა გახდეს მთელი თავისუფალი ქვეყნიერების საზრუნავი და მოსკოვთან ყოველგვარ ბოლაპარაკების დროს მისთვის—არა მარტო გასახსენებელი,—არამედ პირობა რომ ამ ერთა განთავისუფლების გარეშე—შეუძლებელია მოსკოვთან რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკი.

კარდინალ სპელსმანმა მიიღო—ჩაგრულ ერთა დელეგაციები. იქვე დროშებით ჩამწკრივებული იყვნენ წარსული ომების «ვეტერანები» დროშებით.

17 ივლისის გაერთიანებულ ერთა კავშირის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი,—კავშირის შენობის პირდაპირ—ჩამოკიდებული იყო ხრუშჩოვის უზარმაზარი სურათი—მაცდური ღიმილით,—მათრახით ხელში. იგი ზის ჩარდალზე—რომელსაც ეწიწებიან დაჩაგრულები.

მიტინგზე გამოვიდენ სიტყვებით სენატორები და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი.

ცენტრ.—ევროპიდან გამოსულ ამერიკელთა კონფერენციის თავმჯდომარემ წაიკითხა მანიფესტი, სადაც მოსკოვის წინააღმდეგ წამოყენებულია ბრალდებები, მოთხოვნილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპყრობილი ქვეყნებიდან ჯარების გაყვანა და მათი თავისუფლების აღდგენა.

19 ივლისს ნიუიორკის ქალაქის თავმა მიიღო დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლები.

რადიომ გადასცა ჩატარებული მანიფესტაციების ანგარიში.

კვირა—გათავდა 24 ივლისს. ამ დღეს «მანჩესტერ ცენტრ»-ის დარბაზში შესდგა დიდი მიტინგი—აქაც გამოვიდენ სენატორები სათანადო სიტყვებით.

——

ამაწლის 2 მაისს შეერთებულ შტატების წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლიუცია, რომელსაც აქვე ვათავსებთ:

საბჭოთა კავშირის მეთაურებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მათი შეურყეველი მისწრაფებაა პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ბრძოლის საშუალებით მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გაბატონება.

საბჭოთა კავშირმა იარაღის ძალით, ძირგამომთხრელი მუშაობით და სხვა საშუალებებით შუა და აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილ ერებს თავს მოახვია მარიონეტული კომუნისტური მთავრობები, იმონებს მათ სულიერად, რათა დაამყაროს მათ ქვეყნებში სრულიად საბჭოთა კავშირის მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული რეჟიმი.

წინააღმდეგ იალტაში მიღწეული შეთანხმებისა, დაპყრობილ ერებს წართმეული აქვთ საშუალება მოაგვაროონ თავისი საქმეები დემოკრატიული გზით და თავისუფლად აირჩიონ თავიანთი მთავრობები.

წინააღმდეგ ყველა საზავო ხელშეკრულებებისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა, ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოთქმული სურვილებისა, საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ ერებს წართმეული აქვთ თავისუფლება და ადამიანის უფლებები.

ამერიკის შეერთებული შტატები სისტემატიურად უარს ამბობენ პირდაპირ თუ არა პირდაპირ ცნონ დაპყრობილი ქვეყნების სტატუსქვო.

ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ იცავენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, ესალმებიან თავისუფლების და თვითმართველობის ყოველგვარ გაფართოებას და მოითხოვენ, რომ განხორციელდეს ყველა დაპყრობილი ერის ხელშეუხლებელი უფლება თვით აირჩიონ თავიანთი მთავრობა.

სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება შეუძლებელია თუ არ აღსდგა შუა და აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილ ერთა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რომელთა განხორციელებას შეერთებული შტატები ყოველი შესაძლებელი საშუალებით ცდილობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულობს რა ყოველივე ამას მხედველობაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატა იძლევა წინადადებას რომ:

1) შეერთებული შტატების კონგრესმა მოითხოვოს დაპყრობილ ერთა ძირითადი თავისუფლების და ადამიანის უფლებების პატივისცემა.

2) კონგრესმა კვლავ გამოთქვას რწმენა, რომ დაპყრობილ ერთა ხელშეუხლებელი უფლება თვით აირჩიონ თავიანთი მთავრობა განხორციელებული იქნება.

3) შეერთებული შტატების კონგრესმა წინადადება მისცეს პრეზიდენტს ენერგიულად მოითხოვოს მომავალ მაღალი დონის კონფერენციაზე დაპყრობილი ერების ძირითადი თავისუფლებების და ადამიანის უფლებების აღდგენა.

ამერიკიდან.

(საგუთარი კორესპონდენტისგან)

ხრუშჩოვის, ნიუ-იორკში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, დაპყრობილ ერთა პოლიტიკურ ემიგრაციამ მოაწყო ანტი-კომუნისტური დემონსტრაციები და საპროტესტო მიტინგები.

მთავარი გამოსვლა მოხდა 18 სექტემბერს.

ჩვენი ორგანიზაცია—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო—როგორც ყოველთვის ამ დღესაც აღმოჩნდა ეროვნული შეგნების სათანადო სიმაღლეზე. ორგანიზაციამ თავისი ძალები შეუერთა,—დაპყრობილ ერთა ძალებს: უკრაინელების, პოლონელების, უნგრელების, თათრების, ყაზახების კავშირს. ჩვენი ორგანიზაციის წევრები ამ მეგობრების გვერდით მიაბიჯებდენ ნიუ-იორკის ცნობილ მე-5 გამზირზე. საინტერესო იყო თვით დემონსტრაცია: დიდ მანძილზე გაჭიმული ხალხის ტალღა, ნაციონალურ დროშებით, ზოგიერთები იყვნენ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილნი. თითეულ დროშაზე წარწერა გამოხატავდა ზიზღს, მუქარას, აღშფოთებას უსამართლოების, მოსკოვის მიმართ, რომელმაც სისხლში ჩაახჩო ერების თავისუფლება.

ამერიკის დემოკრატიულ მართველობამ, რომელმაც ნება დართო ასეთი დემონსტრაციების გასამართავათ, მოწმობს ამ დიდი ქვეყნის თანაგრძნობას და მორალურ დახმარებას იმ ერების მიმართ, რომლებიც იბრძვიან თავის გასანთავისუფლებლად.

მაშინ, როცა მოსკოვი სისხლში ახჩობს თითეულ გამოსვლას, ხრუშჩოვი ბედავს ერთა კავშირის ტრიბუნიდან ამცნოს კაცობრიობას, რომ საბჭოთა კავშირში ერები თავისუფლები არიან. ცხადია ანტი-კომუნისტური მანიფესტაციები წითელ იმპერიალისტებს ხელს ვერ ააღებინებს თავიანთ ზრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვებზე, მაგრამ ერთი კვირის მანძილზე პროტესტი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ არ შეიძლება უშედეგოთ დარჩეს. თუ კონგოში ახალგაზდა ოფიცერმა პანღური ამოჰკრა მოსკოვის აგენტურას—ამერიკაში—მან მიიღო არა ერთი მორალური სილა. თავისუფალ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი მართალია გვიან, მაგრამ მაინც ერკვევა მოსკოვის გეგმებში და პასუხს აძლევს.

ქართული ენა ამერიკის მოსწავლეთა შორის.

ნიუ-იორკის კოლომბიის სახელობის უნივერსიტეტში მოსწავლეთა შორის აღმოჩნდენ ისეთები, რომლებსაც სურთ ქართული ენის შესწავლა. ჩვენი თანამემამულე დოქტორი გოგი ნაკაშიძე ასწავლის მათ ქართულ ენას, რაც უსათუოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს.

ქართულ ენამ ცოტათი მაინც თუ გაიკაფა გზა ამერიკის ახალგაზდობაში თანდათანობით გაფართოვდება მისი შესწავლა და ამერიკის საზოგადოებაც ჩვენს დედა-ენაზე შეისწავლის ქართულ ლიტერატურის და ჩვენი ერის ცხოვრებას.

ლ. ა.

ჩემი მადლობა.

ჩემი სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის თავზე მრავალმა თანამემამულემ და მათში ზოგმა ისეთმა, რომელთაც პირადათ არც კი ვიცნობ, აგრეთვე ეროვნულმა ერთეულებმა და სათვისტომოებმა გულწრფელის და თბილის მოლოცვებით მომმართეს მრავალი გამამხნევებელი წერილები მომდის ევროპიდან, ამერიკიდან, სპარსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან და თითქმის ყველანი მრავალ საუკეთესო გრძნობებთან სამშობლოს ხილვას და მისი თავისუფლებით გახარებას, ჩვენი «1500 წლოვან თბილისით» დატკბობას მისურვებენ...

ყველა მათ მინდა ამ გზით ჩემი დიდი მადლობა მოვახსენო. ამ მადლობასთან ჩემს სიხარულსაც ვერ ვმალავ, რომ ყველა ამ წერილებში და სურვილებში ნათლად გამოსჭვივის ურყევი რწმენა და იმედი ჩვენი ქვეყნის აღდგომისა. 40 წლის ლტოლვილობას ეს რწმენა ოდნავ ვერ შეურყევია და «მეოთხე მოქცევის» ხილვის გრძნობა არა თუ შენელდა, კიდევ უფრო მძაფრია...

ჭეშმარიტად, უცვლელია ქართველთა ძველი თქმა:

«კვლავაცა დაიზრდებიან ალგეთს ლომისა ლეკვები»...

ამ იმედების გაცხოველებისათვის კვლავ დიდი და მდაბალი მადლობა მათ ვინც მოიგონა ჩემი მცირედი სამწერლო მუშაობის 50 წლის თავი.

აკაკი პაპავა.

ოქტომბერი 1960 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი.

გიორგი წერეთელი დაიბადა ზემო იმერეთის სოფელ პერევისაში 1878 წელს. ის იყო შვილი საკმაოდ შეძლებულ დიდი ოჯახის. მას შეეძლო მთელი მისი ცხოვრება ფუფუნებაში გაეტარებინა, მაგრამ ის სიყმაწვილეშივე ეზიარა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის იდეებს და ჩაება რევოლიუციურ ბრძოლაში. მთელი მისი ენერგია და ქონება ჩაგრულთა სამსახურს შეალია.

დაჰკრა საქართველოს განთავისუფლების საათმა, აღსრულდა გიორგის ოცნება, ჩვენ ქვეყანას ეღირსა თავისუფლათ ამოსუნთქვა, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილების დამსხვრევა, გიორგი მთელი არსებით თავდავიწყებით ემსახურება ახლათ გაფურჩქნულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ჩრდილოეთიდან მოსულმა მტერმა საქართველოს მოსტაცა თავისუფლება, გიორგი წერეთელი აქაც ქართველ ხალხთან დარჩა, და შეუპოვრათ ებრძოლა საქართველოს დამპყრობელთ.

იწყება საერთო აჯანყების მზადება, გიორგი ერთი მეთაურთაგანია. დადგა 1924 წელი, გათენდა აგვისტოს სანატრელი დილა, დღე საქართველოს ბედის თუ უბედობის, დღე სიხარულისა და იმედის, ქართველმა ხალხმა, ამ დღეს აღმართა დროშა თავისუფლების და ზედ მოჰქარგა სურვილი, მტარვალთა განდევნის, მონობის დამხობის. გიორგი ჭიათურის გამოსვლების ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელთაგანია. ჭიათურამ ამოცანა ბრწყინვალეთ შეასრულა, ქალაქი აღებულ იქნა, ადგილობრივმა კომუნისტებმა თითქმის უბრძოლველათ დაჰყარეს იარაღი და მორჩილება გამოაცხადეს, მაგრამ მეორე დღეს თბილისიდან გამოგზავნილმა რუსის ჯარის ნაწილებმა ქალაქი კვლავ აიღეს. გააფთრებულმა მტერმა შური იძია, საუკეთესო მამულიშვილნი ლაჩრულათ, მუხანათურათ, საბარგო ვაგონებში გამომწყვდეულნი სიცოცხლეს გამოასალმა, ქართველი ერის ჯალათებმა საქართველოს კვლავ დაადვეს სისხლით შეღებილი ხუნდები. მთელი ქალაქი შავი ძაძებით მოსილი გულამოსკვნილი სტიროდა დაკარგულ შვილებს; გიორგი წერეთელს გაშმაგებით დაეძებს ხელისუფლება, მოითხოვს მცხოვრებლებისაგან მის გაცემას, რისთვისაც ის ჰპირდება მათ ჯილდოს და წარმატებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დარბევას და კვლავ აწიოკებას, მაგრამ გიორგისადმი იმდენათ დიდი იყო სიყვარული და პატივისცემა, რომ ის არამც თუ გასცეს, არამედ მოუარეს, შეინახეს, დააპურეს და უცხოეთში გამომგზავრება მოუწყვეს.

ცნობილია, რომ ჭიათურა დათქმულ ვადაზე ერთი დღით ადრე გამოვიდა, და მტერს თითქოს საშუალება მისცა სასწრაფოთ მიეღო ზომები. სამწუხაროთ აჯანყების ბედი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალთა გაწნყობილებით გადაწყდა. ამ ნაადრევათ გამოსვლის შეცდომას გიორგი წერეთელს აწერენ, ისტორია იტყვის, რომ გიორგიმ მისი დავალება პირნათლათ და სისწორით შეასრულა, მას არავითარი ბრალი ამ საბედისწერო შეცდომაში არ მიუძღვის (ამის დასამტკიცებლათ მოკლე დროში გამოქვეყნებული იქნება სათანადო დოკუმენტები).

გიორგი წერეთელი იყო დიდი მორალური არსება, მასში არ ყოფილა პატივმოყვარეობა, შური ან ამაყობა, ის ყოველთვის სხვას სწევდა წინ და თვითონ უკან დგებოდა. მისი დამახასიათებელი თვისება იყო საზოგადო საქმისათვის თავის დადება, და მორცხვობა.

გიორგი წერეთელი.

ამით აიხსნება, რომ მან ზემოთ აღნიშნული უმართებულო ბრალდების მძიმე ლოდი უპროტესტოთ ატარა ემიგრაციაში მთელი 36 წლის მანძილზე.

უცხოეთში გიორგი სიღარიბეში და გაჭირვებაში ცხოვრობდა, მაგრამ არასოდეს თავის ცხოვრების ამ მხარეს არ დაგანახვებდა, ერიდებოდა, არ შეგაწუხებდა, კერძო დამოკიდებულებაში ყველასათვის სასიამოვნო და საყვარელი პიროვნება იყო. გიორგი სოფ. ლევილის ძმათა სასაფლაოს მიწას მივაბარეთ 3 ოქტომბერს 1960 წ. მან თან წაიღო უზომო სიყვარული თავის საყვარელ და სანატრელ სამშობლოსი. ჩვენ გულდამწვარ პარტიულ ამხანაგებში მისი ხსოვნა სამუდამოდ წაუშლელი დარჩება.

ლ. ფალავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონების დღე.

შაბათს, 24 სექტემბერს, ჩვენი ლევილი, ჩვენი «პატარა საქართველო»,—ჩვენი ავკარგის მუდმივი მოწამე,—ერთხელ კიდევ გახდა ადგილი ფრიად თბილ და სასარგებლო მანიფესტაციის

სამოციოდე ახლო მეგობრებმა თავი მოიყარა არიანა ურატაძის 5 წლის და გრიგოლ ურატაძის ერთი წლის გარდაცვალების დღის აღსანიშნავად.

შეხვედრა მოხდა მათი ქალიშვილის, მედეას და გრიგოლის ძმისწულის, დათიკოს ინიციატივით და ქ-ნ ბაბოს უშუალო მონაწილეობით.

სასაფლაოზე იქნა გადახდილი პანაშვიდი, რის შემდეგ, ახალგაზრდა ინიციატორები უხვად გაუმასპინძლდენ ყველა დამსწრეთ, მშვენივრად მორთულ სუფრაზე, ნოე ცინცაძის ხელმძღვანელობით.

სიტყვები წარმოსთქვეს სათვისტომოს მოძღვარმა, მამა ილიამ, ნ. ცინცაძემ, გ. ერაძემ, ნ. ორაგველიძემ, ინა ჟორდანიამ, მ. მელუამ, შ. კალანდაძემ და გ. ბოლქვაძემ.

«სიტყვები ყველა კარგი იყო, ერთი მეორეს სჯობდა»-ო გაიგონებდით სუფრის დასრულების შემდეგ, «შატოს» ეზოში და ოჯახებში.

ამას ალბათ ხელს უწყობდა შეხვედრის შინაარსი.

დახასიათება ორი იშვიათი პიროვნების რომლების ცხოვრება ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული, გადაბმული ქართულ ცხოვრებასთან, მის ბრწყინვალე ტრადიციებთან, განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

«არიანა და გრიშა, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები, ჰარმონიულად ავსებდენ ერთი მეორეს, და ერთს, მთლიანს შეადგენდენ»-ო ამბობს თავის შესავალ სიტყვაში ნ. ცინცაძე.

ნ. ორაგველიძე, გრიშას ბიოგრაფიის და მოღვაწეობის მოკლე დახასიათების წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ არიანაზე ცალკე ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნია, რაც გრიშაზე აქვს სათქმელი, ის არიანასაც შეეხება, «ისინი ერთს, განუყოფელს შეადგენენ»-ო.

«არიანა იყო ჩ ვ ე ნ ი ცივილიზაციის მუდმივი მატარებელი, განსაკუთრებით ლამაზი იყო ის ამ როლში მატერიალური და ფიზიკური შევიწროების დროს» ო, აღნიშნავს ინა ჟორდანია.

«რამდენიც არ უნდა ვეცადოთ მათი დახასიათება, სუფრის პირობებში, მათი სურათი მაინც მკრთალად მოგვეჩვენება» ო, აცხადებს გ. ბოლქვაძე.

სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის სივიწროვე არ გვაძლევს საშვალებას ყველა სიტყვების დაბეჭდვისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოქცემთ მხოლოდ მათ მოკლე შინაარსს:

არიანა, ქართველი ქალის ყველა საუკეთესო თვისებებით უხვად დაჯილდოებული, ნაზი, კეთილი, დარბაისელი, მუდამ სხვაზე მზრუნავი, ყოველგვარი გაჭირვების მხნეთ ამტანი. სამაგალითო მეუღლე და დედა.

გრიშა ახალგაზრდობიდანვე მუდამ ხალხის კეთილდღეობისთვის უანგარო მებრძოლი, მუდამ ხალხთან მყოფი, პროპაგანდისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკური ხელმძღვანელი, დესპანი, ემიგრაციაში დაუღალავი მებრძოლი,—დაკარგული თავისუფლების აღსადგენად—გაუტეხელიოპტიმისტი.

სრულიად ბუნებრივად, მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით იქნა აღნიშნული წარმოთქმულ სიტყვებში ჩვენი სასიქადულო, ხალხური, გლეხური მოძრაობა, მესამე დასის როლი, 7 მაისის ტრაქტატი, რომელსაც კარდინალური მნიშვნელობა აქვს საქართველოს უფლებრივი მდგომარეობისთვის.

გ. ერაძემ, თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ამ დოკუმენტის მნიშვნელობა.

«გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იმ მომენტში მხოლოდ გრიშას შეეძლო ამ დიდ მნიშვნელოვან ხელშეკრულების დადება. ამისთვის მას ჰქონდა სამი აუცილებელი თვისება. საქმის სიყვარული, თავგანწირვის შეგნება (მაშინდელ ქაოტიულ პირობებში არ იყო გარანტია, რომ მოსკოვში ცოცხალი მივიდოდა) და პირადი ნაცნობობა კრემლის ხელმძღვანელებთან»-ო ასკვნის ორატორი.

დასასრულ, ნ. ცინცაძე იგონებს არიანას, სიკვდილის წინ წარმოთქმულ «შენი ჭირიმე»-ს მიმართულს ოთახში შემოსულ მედუნიასადმი. «ამ სიტყვას, განსაკუთრებული გრძობით წარმოთქმულს ანდერძის მნიშვნელობა ჰქონდა»-ო, ამბობს ორატორი; მადლობას უძღვნის ახალგაზრდებს ასეთი ინიციატივისთვის და იმედს გამოსთქვამს, რომ ისინი განაგრძობენ გრიშას და არიანას გზას.

გ. ბ.

---

26 მაისი სოფლში.

როგორც ყოველ წელს—ეროვნული დღესასწაული გაიმართა ქართულ სათვისტომოს ბინაზე. დარბაზი მორთული იყო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მგოსანთა სურათებით. საპატიო ადგილი ეჭირა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას სურათს.

დილის 10 საათზე თავმჯდომარე ბ. ალ. შათირიშვილმა საზეიმო სხდომა გახსნა, ღრმა გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვით მიმართა დამსწრეთ, მოაგონა მათ 26 მაისის მნიშვნელობა, რომლის შუქი მუდამ გზას უნათებს მებრძოლ საქართველოს. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც. სხდომის შემდეგ გაიშალა ტრადიციული ქართული სუფრა, ცეკვა-თამაშმა, მხიარულებამ გასტანა საღამომდის.

ი. ბ—ლი.

2109/41

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლის თავი.

ქართველი ემიგრანტები არ ივიწყებენ საქართველოს დიდ ისტორიულ დღეს—აგვისტოს აჯანყებას, როდესაც ქართველი ერი აღსდგა იარაღით მოსკოვის ბატონობის წინააღმდეგ და შეეცადა დაკარგულ ეროვნულ სუვერენობის აღდგენას, რასაც ათასობით თავდადებული მამულიშვილი შეეწირა.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ, ჩვეულებრივათ, წელსაც მოაწყო დღე აჯანყებაში დაღუპულთა მოსაგონებლათ და მოსახსენებლათ.

11 სექტემბერს ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო პარიზიდან და სხვა ადგილებიდან მოსული ქართველობა.

ამის შემდეგ პანაშვიდზე დამსწრე საზოგადოებამ თავი მოიყარა რესტორანის დიდ დარბაზში სუფრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა სათვისტომოს თავმჯდომარე ლ. ფაღავა.

სიტყვები წარმოსთქვეს ლევან ფაღავამ, მამა ილიამ ნოე ცინცაძემ, იოსებ გობეჩიამ, ლევან ზურაბიშვილმა, ქართველების მეგობარმა ფრანგმა ჟურნალისტმა და სხვებმა. ყველას სიტყვები იყო მეტად მგრძნობიარე, ღრმა რწმენით და მომავლის იმედით აღსავსე.

საქართველოს აღდგენის ამერიკული საბჭო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭომ თავის 26 მაისის გამოცემა გაუგზავნა სენიტორებს, ბევრ მათთაგან მიიღო სათანადო პასუხი. აღსანიშნავია საპრეზიდენტო კანდიდატების სენატორ კენედის და ნიქსონის წერილი, სადაც ისინი მხურვალეთ იცავენ მცირე ერების უფლებებს.

———

გაერთიანებულ ერების კავშირში წამოჭრილ კოლონიალურ საკითხთან დაკავშირებით ჩვენმა საბჭომ გადასცა პრესას და «ტელევიზიონის» სადგურებს მრავალი ცნობები საქართველოს დაპყრობის და მისი მდგომარეობის შესახებ.

გი მოლე ქ. ბელფორში.

ამა წლის 16 ოქტომბერს ბელფორს ესტუმრა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ლიდერი გი მოლე. ამ შემთხვევით ისარგებლეს ჩვენი პარტიის სოშოს ორგანიზაციის წევრებმა და თავის თავმჯდომარის ამხ. ილ. სალუქვაძის ხელით მას გადასცეს სათანადო წერილი, რომელშიც მას გაახსენეს საქართველოს ბედი.

მიმართვამ მხურვალე გამოძახილი პოვა—როგორც ჩვენ ამხანაგებთან კერძო საუბარში, ისე სახალხო სახლში მრავალრიცხოვან მიტინგზე გი მოლემ ამხილა მოსკოვის ვერაგობა საქართველოს მიმართ და გამოსთქვა იმედი მისი განთავისუფლების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონელ მუშების სულისკვეთება.

30 სექტემბერს გდანის გემების საამშენებლო მუშები მიწვეულნი იყვნენ მიტინგზე, რომელზედაც უნდა დაედგინათ წერილის გაგზავნა პოლონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე. წერილში უნდა გამოეთქვათ თავიანთი თანაგრძნობა და თანამოაზრობა გომულსკასათვის მის გამოსვლების გამო გაერთიანებულ ერთა კავშირის გენერალურ კრებაზე, ნიუიორკში, სადაც ის სავსებით მხარს უჭერდა ხრუშჩოვს.

მუშებმა მიიღეს თუ არა იმ დღეს თავიანთი შრომის გასამრჯელო, უმჯობესათ სცნეს წასულიყვნენ სახლებში. მიტინგზე გამოცხადდა მხოლოდ რამდენიმე ასი კაცი. როდესაც ორატორმა დაიწყო საბჭ. კავშირთან მეგობრობის და ხრუშჩოვთან ამხანაგობის ქება დიდება, გაისმა ყვირილი: «გვეყოფა პროპაგანდა, ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობენ დასავლეთში!» ყვირილი უფრო გაძლიერდა, როცა მიტინგზე გამოჩნდნენ ეგვიპტის და ინდონეზიის ტეხნიკები, რომლებიც მეთვალყურეთ იყვნენ თავიანთ ქვეყნების გემების ამშენებლობაზე. ამ ყვირილში მიტინგი დაიშალა. როდესაც წესრიგის აღსადგენათ მოწვეულ იქნენ სამხედრო დამცველი რაზმი, ამ უკანასკნელს და მუშებ შორის მოხდა შეტაკება. ამ არეულობის გამო დაჭერილი იქნა 12 კაცი.

ამის შემდეგ თვით ქალაქში გაიმართა მასიური დემონსტრაციები. საზოგადოებრივი აზრის გავლენით მართველობამ გაანთავისუფლა დაჭერილები. (ნაშე ობშჩეე დელო № 21).

სასარგებლო საქმე.

ინგლისურ ჟურნალ «რევიუ კავკაზ»-ში—ვიღაც აფხაზიანმა ჩვენი ქვეყნის სხეულის ერთი ნაწილი სადაოთ გაგვიხადა. აფხაზეთი—წარსულში სომხეთს მიაკუთვნა. მრავალ გამოგონებულ ავადმყოფურ ფანტაზიიდან წარმოშობილი «ისტორიული საბუთები» მოგვიყვანა და მით შეეცადა დაერწმუნებია უცხო მკითხველი... ჩვენმა თანამემამულემ მინდია ლაშაურმა თავისი ბროშიურით საკადრისი პასუხი გასცა ბ. აფხაზიანს, მისი შრომა რომელიც უტყუარ ისტორიულ მასალებით არის დასაბუთებული უაღრესად საინტერესოა და ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს, სადაც იგი გაეცნობა მრავალ ისტორიულ საბუთებს აფხაზეთის წარსულიდან.

ჩვენის მხრივ მადლობას უცხადებთ მინდია ლაშაურს, რომელმაც უანგარო შრომა გასწია, თავის ხარჯით გამოსცა ნაშრომი.

პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

შემოსწირეს:

მიუნხენიდან	არსენიძე რაჟდენ	100	გერ. მარკა.
,,	იმნაიშვილი ნიკო	50	,,
,,	იმნაიშვილი მოსე	50	,,
საფრანგეთიდან	ინასარი სერგო	2.000	ფრანკი.
,,	კირტავა ბიქტორ	1.000	,,
,,	ზაქარიაძე ვალია	1.000	,,

შეცდომის გასწორება.

«ჩვენი დროშა»-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ მემორანდუმის ქვევით ხელის მოწერა «ეროვნული საბჭო»-ს ნაცვლად უნდა იყოს «გაერთიანებული ეროვნული საბჭო».

განცხადების სახით.

ძვირფასო თანამემამულენო!

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ხნოვანებისა და ჯანმრთელობის შებღალვის გამო იძულებული შევიქენი დამეტოვებია ის პოსტი, რომელიც მეჭირა ორმოცი წლის განმავლობაში. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობიდან დაგვრჩა ეს პატარა ადგილი, რომლის წყალობითაც ქართული სახელი შეგვრჩა და რუსებს არ გვეძახიან. ამ ხნის განმავლობაში ჩემი მისსია მესმოდა: არ შემერცხვინა ის პოსტი რომელიც მეჭირა და ის სახელი რომელსაც ვატარებდი; მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა ეს ორი მხარე ჩემი მისსიისა ასე თუ ისე დავიცავი... იმედი მაქვს, ჩემი მოადგილე ბ. ა. კინწურიშვილი, ახალგაზდა, შეგნებული და ენერგიული პიროვნება, გააგრძელებს მუშაობას, თანახმად შექმნილ ტრადიციებისა, ფრანგულ ოფისის ქართულ სექციაში...

ამიერიდან წერილები თუ თხოვნები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r A. Kintsourichvili.
O. F. P. R. A. Section Géorgienne.
23 rue La Perouse. Paris (16)

ხოსიპატრე ასათიანი.

P. S. ვსთხოვ ქართულ რედაქციებს ეს განცხადება მოათავსონ თავიანთ გამოცემებში. ხ. ა.

«ჩვენი დროშის» გამოწერა შეიძლება შემდეგ მისამართზე

M-r Berichvili

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

(S. et O.) France.

შემოწირულებაც უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართზე.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.